

კავშირი  
"გეოცენორება და ენერგეტიკა"

# კ ნ ი რ გ ი ნ

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

2(90)/2019

---

თბილისი

## სარჩევი

გვ.

<b>ძ.მშეღლიძე, გ.ჯიხვაძე, გ.ტიტვინიძე, ვ.ციცაშვილი.</b> ბიომასის გამოყენების პერსპექტივა საქართველოში.....	5
<b>ტ.შერგელაშვილი, მ.ქორქია.</b> ელექტროენერგიის აღრიცხვა ორელემენტიანი მრიცხველის გამოყენებისას.....	10
<b>გ.ერალია, რ.ლოჭვირი.</b> ელექტროტექნოლოგიური დანადგარების ქსელზე ზეგავლენის მიხედვით დაჯგუფება და ახალი ელექტრომომხმარებლების ელექტრომომარაგების ქსელთან მიერთებისათვის მოთხოვნებთა პაკეტების განსაზღვრა.....	18
<b>ი.ა.ბიჯამოვი, თ.მაზმიშვილი.</b> ენერგიის ელექტრომექანიკური გარდაქმნის კანონები და პრინციპები.....	24
<b>ნ.რუსაძე, გ.არაპიძე, ნ.არაპიძე.</b> მდგრადი ენერგეტიკული განვითარების მეშვიდე მიზანი.....	31
<b>თ.მაგრამველიძე, გ.გიგინიშვილი, ა.მიძაშვილი, ტ.კობერიძე,</b> ხ.ლომიძე. თბოგაცემა გერტიკალური მილის გლუვ და ხორკლიან გარეზედაპირებზე წყლის აფსკის ჩამოდინების დროს.....	35
<b>ნ.ევჰიშვილი, თ.ჯიშკარიანი, ნ.ჯავახანაშვილი.</b> სტირლინგის თხევადდგუშიან ძრავაში მიმდინარე თბური პროცესების თავისებურებები. . .	41
<b>ნ.ბოჭორიშვილი, მ.ლორთმიშვანიძე.</b> დანამატიანი და საბაზისო ბეტონების დეფორმაციები განმეორებითი დატვირთვების დროს .....	48
<b>ზ.ქარუმიძე, ზ.ბეგურიშვილი.</b> თბოდამუშავების გავლენა ბეტონის სიმტკიცის ზრდაზე და მასში მიმდინარე დესტრუქციულ პროცესებზე. . . .	54
<b>ზ.ბათხაძე, ა.ლიაპვიშვილი, ს.გეორგაშვილი.</b> სამედიცინო დანიშნულების მიკროპლაზმატრონის დამუშავება.....	60
<b>რ უ ბ რ ი კ ა</b>	
"ვინც ჩვენს გვერდზე იყო..." ვახტანგ საყვარელიძე.....	66

ბიომასის გამოყენების პრისაპტივა საქართველოში.

ქ. ქუთაისი, მ. ჭიხვაძე, გ. ტიტვინიძე, გ. ციცქიშვილი. "ენერგია". №2(90). 2019. თბილისი. გვ. 5-9. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ბიოლოგიური წარმოშობის ორგანული არაწიალისეული მასალა - ნედნეულის ბიომასა - ქიმიური ენერგიის შემცველობით, მისი მიღების შესაძლებლობები, გამოყენების სფერო და მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა, რომელიც აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

ჩვენი მიზანია - დაგვირგოთ ტექნოლოგია, საიდანაც მივიღებთ ეკოლოგიისთვის ჯანსაღ და ამავდროულად იაფ ელექტროენერგიას, რითაც ხელს შევუწყობთ საქართველოს ენერგეტიკას კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას განვითარებული მომავლისკენ. ილ. 3, ლიტ. 4.

ელექტროენერგიის აღრიცხვა ორალემენტიანი მრიცხველის გამოყენებისას.

ტ. შერგელა შვილი, გ. ქორქია. "ენერგია". №2(90). 2019. თბილისი. გვ. 10-17. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ორელემენტიანი მრიცხველის ელექტროენერგიის აღრიცხვის წრედში ჩართვის მიზანშეწონილობა აქტიური სიმძლავრის კოეფიციენტის სიდიდესთან მიმართებაში. მოყვანილია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის „ალფა ცენტრი“-დან აღებული აქტიური სიმძლავრის და აქტიური სიმძლავრის კოეფიციენტის გრაფიკები, რის საფუძველზეც ჩატარებულია გაანგარიშება და გაკეთებულია დასკნები, კერძოდ: 1. სიმძლავრის კოეფიციენტის მნიშვნელობისას  $\cos \varphi < 0,5$  მიზანშეწონილია სამელებელიანი შეერთების სქემის გამოყენება. 2. დადგენილია აღურიცხავი ელექტროენერგიის საანგარიშო კოეფიციენტის მნიშვნელობა. ილ. 6, ცხრ. 1, ლიტ. 5.

ელექტროტექნოლოგიური დანადგარების ქსელზე ჯეგავლენის მიხედვით დაჯგუფება და ახალი ელექტრო-მომართებლების ელექტრომართვის მიმდევად მიმდევად მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების შედეგად წარმოქმნილი დაბრკოლებების გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ ქსელზე ზეგავლენის თვალსაზრისით, არსებობს მშვიდი აქტიური და აგრესიული ხასიათის ეტდკ-ები. ამასთან, ელექტრომომარებლების ელექტრომომარაგების ქსელზე ზეგავლენის შედეგების შეფასების საფუძველზე, ახალი ობიექტების ქსელთან მიერთების პირობები მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს რთხი მოთხოვნათა პაკეტის საშუალებით. შემოთავაზებულია ობიექტისათვის პაკეტის დადგენის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ეტდკ-ის ჯგუფის სიმძლავრეთა მომხმარებლის ჯამურ სიმძლავრეში მონაწილეობის პრინციპზე, ეტდკ-ების ჯგუფების ზეგავლენის კოეფიციენტების საშუალებით. ლიტ. 4.

ენერგიის ელექტრომეცნიერობის გარდაქმნის პაროვები და პრიციპები.

ი. ბიჯამოვი, თ. მაზმიშვილი. "ენერგია". №2(90). 2019. თბილისი. გვ. 24-30. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია სხვადასხვა ლიტერატურაში არსებული ენერგიის ელექტრო-მექანიკური გარდაქმნის ძირითადი კანონები და პრინციპები. ნაჩვენებია, რომ ამ საკითხებში არ არსებობს ერთიანი მიღომა ენერგიის ელექტრომექანიკური გარდაქმნის კანონების ან პრინციპების მიმართ როგორც რაოდენობრივი, ასევე შინაარსობრივი კუთხით. მაგალითად, ელექტრომექანიკური გარდამქმნელების ისეთი თვისება, როგორიცაა „შექცევადობა“ სხვადასხვა ლიტერატურაში გვხვდება ზოგიერთ ავტორთან როგორც „კანონი“, ზოგიერთთან კი - როგორც „პრინციპი“. შესრულებული ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია გამოიყოს ერთიანი, ფუნდამენტური კანონები და პრინციპები, რომლებიც ცალსახად ასახავენ ენერგიის გარდაქმნის დროს ელექტრომექანიკურ გარდამქმნელებში მიმდინარე პროცესებს. ილ. 1, ლიტ. 7.

**მდგრადი ენერგეტიკული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური, საიმედო და, ამასთან, სუფთა ენერგიის ხელმისაწვდომობა, განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება და ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარება. გაანალიზებულია ის დადებითი შედეგები, რასაც საქართველომ ენერგოუსაფრთხოების კუთხით ბოლო წლების განმავლობაში მიაღწია. განხილულია ის ვალდებულებები, რომელიც უნდა შესრულდეს ეკოლოგიული ენერგეტიკული გაერთიანების პროტოკოლის თანხმად. განსაზღვრულა ის სამოქმედო გეგმები, რომლის მიხედვითაც ქვეყანამ უნდა იმოქმედოს გარემოსდაცვითი და ეკონომიკური გამოწვევების დასაძლევად.**

მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური, საიმედო და, ამასთან, სუფთა ენერგიის ხელმისაწვდომობა, განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება და ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარება. გაანალიზებულია ის დადებითი შედეგები, რასაც საქართველომ ენერგოუსაფრთხოების კუთხით ბოლო წლების განმავლობაში მიაღწია. განხილულია ის ვალდებულებები, რომელიც უნდა შესრულდეს ეკოლოგიული ენერგეტიკული გაერთიანების პროტოკოლის თანხმად. განსაზღვრულა ის სამოქმედო გეგმები, რომლის მიხედვითაც ქვეყანამ უნდა იმოქმედოს გარემოსდაცვითი და ეკონომიკური გამოწვევების დასაძლევად.

ილ.1, ლიტ. 4.

**თბოგაცემა ვერტიკალური მიღის გლუვ და სორკლიან გარე ზედაპირებაზე ფყლის აფსის ჩამოლიცების დროს.**

თ.მაგრაქველიძე, გ.გიგინებულიძე, ა.მიქაშავიძე, ტ.კობერიძე, ხ.ლომიძე. "ენერგია". №2(90). 2019. თბილისი. გვ. 35-40. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ნაჩვენებია პრობლემის აქტუალურობა და შემდგომი შესწავლის აუცილებლობა. მოცემულია ექსპერიმენტული დანადგარის მოკლე აღწერა. ცდები ჩატარდა ვერტიკალურად განთავსებული გლუვი და ხორკლიანი მილების გარე ზედაპირზე წყლის აფსის ჩამოლიცების პირობებში. ორგანზომილებიანი ხორკლიანობის შვერილების სიმაღლე  $h=1$  მმ. შევრილებს შორის ბიჯის ფარდობა სიმაღლესათან  $s/h$  იცვლებოდა 5-დან 40-მდე. პრანდტლის რიცხვი  $Pr=10$ , ხოლო რეინოლდსის რიცხვი  $Re$  იცვლებოდა 300-დან 10000-მდე.

დადგენილია, რომ ზედაპირის ხორკლიანობა იწვევს თბოგაცემის პოეფიციენტის გაზრდას 3-ჯერ და მეტად. თბოგაცემის ინტენსიფიკაცია მაქსიმალურია, როდესაც  $s/h=10$ . ილ.2, ლიტ. 14.

**სტირლინგის თხევადდგუშიან პრავაში მიმღინარე თბური პროცესების თავისებურებები.**

ნ.ქეგიშვილი, თ.ჯიშარიანი, ნ.ჯავახაშვილი. "ენერგია". №2(90). 2019. თბილისი. გვ. 41–47. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

დღეისათვის ინტერესი სტირლინგის თბური მანქანის თხევადდგუშიანი სქემის მიმართ მნიშვნელოვნადაა შემცირებული, რადგან თხევადი დგუშის უუნარობის გამო განავითაროს დიდი აჩქარება, მნიშვნელოვნად არის შეზღუდული დანადგარის კუთრი სიმძლავრის მაჩვნებელი.მიუხედავდ ამისა, სტირლინგის თხევადდგუშიანი ძრავების ტექნოლოგიას არ ამოუწურავს თავისი განვითარების შესაძლებლობა, რამდენადაც ამ ტიპის ძრავებისათვის დამახასიათებელმა ციკლის დაბალმა სიხშირემ შეიძლება მოგვცეს გარეგებული უპირატესობა. გაანალიზებულია სტირლინგის თხევადდგუშიანი ძრავების თავისებურებები და ნაჩვენებია ის უპირატესობები, რომლებიც მათ გააჩნიათ სტირლინგის ძრავების ტრადიციულ სქემებთან შედარებით. დადგენილია, რომ სტირლინგის თხევადდგუშიანი ძრავების გამოყენება შესაძლებელია საშუალო სიმძლავრის ელექტროენერგიის (1-100 კვტ) სტაციონარულ წარმომქმნებებში.

ილ.2, ლიტ. 4.

**დანამატიანი და საბაზისო პეტონების დაფორმაციები განვითარებითი დატვირთვების დროს.**

ნ.პოჭორიშვილი, მ.ლორთქიფანიძე. "ენერგია". №2(90). 2019. თბილისი. გვ. 48–53. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

კვლევის საგანს წარმოადგენდა დანამატიანი ბეტონის დეფორმაციების შესწავლა განმეორებითი სტატიკური დატვირთვების დროს. გამოცდილ იქნა დანამატიანი და შესაბამისად საბაზო ბეტონი დრეკადობის არეში, ხოლო შემდგომ ცდებში განმეორებითი საფეხურებრივად ზრდადი მრავალჯერადი დატვირთვებით რღვევამდე. მიღებული შედეგები მაჩვენებელია იმის, რომ შერეული დანამატებით (მიკროსილიკა+GRACE ZYLA® 420 M) დამზადებული ბეტონის მუშაობა მრავალჯერადი განმეორებითი სტატიკური დატვირთვების დროს დროში გაცილებით მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ხასიათდება დანარჩენ

ბეტონებთან შედარებით და ამიტომ მისი გამოყენება მიზანშეწონილია სპეციალურ ნაგებობებში, კერძოდ ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში. ილ. 2.

**თბოდამუშავების გავლენა ბეტონის სიმტკიცის ზრდაზე და მასში მიმდინარე დესტრუქციულ პროცესებზე**

ზ.ქარუმიძე, ზ.ბერურიშვილი. "ენერგია". №2(90). 2019. თბილისი. გვ. 54-59. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქვეყანაში მშენებლობის ძირითადი წილი მოდის მონოლითურ მშენებლობაზე, არის ისეთი საპასუხისმგებლო ბეტონის ნაკეთობები, კონსტრუქციები, რომლებსაც სჭირდებათ ასაწყობი რკინაბეტონის ქარხნები. ასე, მაგალითად, სარკინიგზო შპალები, ელექტროანძები და სხვა რთული კონფიგურაციის ნაკეთობები კერძო მშენებლობისათვის. ასეთ ნაწარმს აუცილებლად სჭირდება თბოდამუშავება, გამაგრების დასაჩქარებლად. განხილულია თბოდამუშავების ტექნოლოგია ნორმალური ატმოსფერული წნევისა და 60–100°C ტემპერატურაზე. წარმოდგენილია პერიოდული და უწყვეტი მოქმედების თბოდანადგარების ტიპები. ორმოს, გვირაბის ხერელის კამერები და კასეტური დანადგარები. განხილულია ბეტონის ნაკეთობების თბოტენიანი დამუშავების საერთო ციკლის პერიოდები. ბეტონის ნაკეთობების ქცევა ტემპერატურის აწევისა და დაწევის დროს. თბური დამუშავების პროცესში დაღებით ფაქტორებთან ერთად, შეიძლება წარმოიქმნას ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ბეტონის ნაკეთობების სტრუქტურის ფორმირებაზე. ჩვენი ამოცანაა რომ გავზარდოთ დადგებითი ფაქტორები, ანუ უმოკლეს დროში მივაღწიოთ სასურველ სიმტკიცეს და გამოვრიცხოთ უარყოფითი ფაქტორები, ანუ დესტრუქციული პროცესების წარმოქმნა. ეს კი ხორციელდება თბური დამუშავების რეჟიმების ოპტიმიზაციით.

ცხ. 2, ლიტ. 7.

**სამედიცინო დაციულებების მიკროალაზმატორის დამუშავება.**

ზ.ბათხაძე, ა.დიაკვნიშვილი, ს.მენთეშაშვილი. "ენერგია". №2(90). 2019. თბილისი. გვ. 60-65. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ახალი ტიპის ლამინარულ რეჟიმში გამოდინებული პლაზმური ნაკადის მქონე სამედიცინო დანიშნულების მიკროალაზმატორის, ანუ პლაზმური ქირურგიული ინსტრუმენტის - სკალპელის, კოაგულატორის და სტერილუზატორის შექმნისათვის საჭირო კვლევის წინასწარი მონაცემები.

ტურბულენტური ნაკადის ლამინარულში გადაყვანით, მუშა პლაზმური ნაკადის ხილვადი-გაგარგარებული ნაწილის სიგრძე მინიმუმ 7-10-ჯერ იზრდება, ღებულობს გავარგარებული პლაზმური დანის სახეს და ზრდის ქირურგიულ მედიცინაში პლაზმური ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობებს. ილ. 2, ლიტ. 13.